

# შიდაპარტიული დემოკრატია ქართულ პოლიტიკურ სისტემაში

**ბაკურ კვაშილაძე**

პუბლიკაცია მომზადდა აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიის ცენტრის (EECMD) დაკვეთით, დანიის პოლიტიკური პარტიებისა და დემოკრატიის ინსტიტუტის (DIPD) მიერ დაფინანსებული პროექტის „დემოკრატიული პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციური და საარჩევნო შესაძლებლობების გაძლიერება“ ფარგლებში. აღნიშნული დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია ტექსტის ავტორი და მასში წარმოდგენილი მოსაზრებები არ გამოხატავს EECMD-ს და DIPD-ს პოზიციას.

# სარჩევი

01 შესავალი

06 მეთოდოლოგია

10 კვლევის შედეგები

22 დანართი

## შესავალი

თანამედროვე სახელმწიფოში პოლიტიკური პარტიები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს - მათ გარეშე ქვეყნის მართვა ძნელად წარმოსადგენია. მართალია, ჯერ კიდევ ვხვდებით ქვეყნებს, სადაც პოლიტიკური პარტიები არ არსებობს, მაგრამ ეს უფრო დადგენილი წესიდან გამონაკლისია. რთულია მათ გარეშე რომელიმე ქვეყნის მთავრობამ მოახერხოს ისეთი კომპლექსური და მრავალფეროვანი ამოცანების გადაჭრა, როგორც თანამედროვე სახელმწიფოს ევალება: საგარეო პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალური უსაფრთხოების საკითხები, განათლება, გარემოს დაცვა, საზოგადოებრივი განვითარება, სამართლის აღსრულება - იმ ფუნქციების მცირე და ზოგადი ჩამონათვალია, რისი რეგულირებაც დღევანდელმა სახელმწიფოს დააკისრა. შესაბამისად, იქ, სადაც პოლიტიკური პარტიები არ ფუნქციონირებს, საქმე ან შუასაუკუნეობრივ პრინციპებზე დაფუძნებულ მმართველობასთან გვაქვს, ან ისეთ მიკროსახელმწიფოსთან, რომლის მოსახლეობა 20 ათასზე ნაკლებია. პოლიტიკური პარტიები თანამედროვეობის განუყოფელი ნაწილია და თავის ფუნქციას ასრულებს არა მარტო დემოკრატიული, არამედ ავტორიტარული მმართველობის დროსაც.

ბუნებრივია, დემოკრატიულ წყობაში პარტიას განსაკუთრებული როლი ენიჭება, ვინაიდან ის ხელისუფლების მოპოვების ოპტიმალური საშუალებაა. სხვადასხვა პოლიტიკური ტრადიციიდან გამომდინარე, პარტიები განსხვავებულ ფუნქციებსაც შეიძლება ასრულებდნენ, მაგრამ ყოველი მათგანი წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის გარკვეული ფენის და/ან ინტერესის გამომხატველია და მიზნად ისახავს ამ ინტერესების პოლიტიკაში გატარებას - ხელისუფლებაში მოსვლის ან მასზე ზეგავლენის გზით. ამავდროულად, პარტია გავლენასაც ახდენს ამ ინტერესების შექმნასა და მოდიფიკაციაზე - სხვა საზოგადოებრივ ინსტიტუციებთან ერთად, პოლიტიკური პარტიები საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაშიც მონაწილეობენ და ზოგჯერ გარკვეული სოციალური უსაფრთხოების ბადაცაქმნიან საკუთარი წევრებისთვის, რითაც ხელს უწყობენ მათ შორის სოციალური ერთობის ჩამოყალიბებას.

მართალია, მკვლევართა არცთუ უმნიშვნელო ჯგუფი პოლიტიკურ პარტიას სამოქალაქო საზოგადოების ნაწილად მოიაზრებს, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ უმრავლესობა მაინც უფრო სწორად მიიჩნევს პარტიის ცალკე გამოყოფას და მის პოლიტიკური საზოგადოებისთვის მიკუთვნებას. ამ მიდგომის ლოგიკა კარგად ჩანს, თუ ლინცისა და სტეპანის 1996 წელს გამოცემულ კრებულს გავიხსენებთ, სადაც პოლიტიკური საზოგადოება სამოქალაქო საზოგადოებისგან განყენებულად მოიაზრება.<sup>1</sup> პოსტსაბჭოთა პოლონეთის დემოკრატიული ტრანსფორმაციის განხილვისას ცხადად ჩანს, რატომაა ის განსხვავებული ხასიათისა და შინაარსის მატარებელი.

<sup>1</sup> Linz, Juan & Alfred Stepan, Problems of Democratic Consolidation (Baltimore & London: Johns Hopkins University Press 1996), 7-10

უპირველეს ყოვლისა, პარტია, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციისგან განსხვავებით, პოლიტიკური ძალაუფლების მოსაპოვებლად იბრძვის. იმ შემთხვევაშიც კი, როცა საქმე ისეთი ვინაობის პროფილის მქონე ჯგუფთან გვაქვს, როგორც მწვანეთა მოძრაობებია ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებში, მათი მიზანი აუცილებლად არის მთავრობის სრული დაკომპლექტება თუ არა, კოალიციურ მმართველობაში მონაწილეობა მაინც. მართალია, როგორც სამოქალაქო, ასევე პოლიტიკური საზოგადოების შემადგენელი ორგანიზაციები, შესაძლოა, გარკვეული პოლიტიკის გასატარებლად იბრძოდნენ, მაგრამ მხოლოდ ის ორგანიზაცია ჩაითვლება პოლიტიკური საზოგადოების ნაწილად, რომელსაც თავად გააჩნია სურვილი, ცხოვრებაში გაატაროს პოლიტიკა, განსხვავებით სამოქალაქო საზოგადოებისგან, რომელიც მიზნად პოლიტიკოსებზე ზეგავლენას ისახავს მისთვის სასურველი პოლიტიკის განსახორციელებლად.

ამ ბაზისური განსხვავების გარდა, როგორც უკვე აღინიშნა, პოლონეთის მაგალითზე გამოჩნდა, რომ ეს ორი სხვადასხვა სივრცე განსხვავებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ღირებულებებითა და პრინციპებით ხელმძღვანელობს: სამოქალაქო საზოგადოების ამოსავალი - სიმართლე, სამართალი, ქვეშაირების ძიება და შემდეგ მისი განუხრელი დაცვა - ამ სიმართლის ბოლომდე გატანა ყველაზე დიადი მიზანია.<sup>2</sup> ჰაველის სიტყვებით, კომუნისტური ოფიციალობის სიცრუისგან განსხვავებით, სამოქალაქო საზოგადოება სიმართლეში ცხოვრების საშუალებას იძლევა.<sup>3</sup> ეს დიქტომია პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სწორედ ამ პერიოდიდან იღებს სათავეს და საბჭოური უფლისგან გათავისუფლებისთვის ბრძოლაში კომუნისტების მონაწილეობაზე ყველა ძალის კონსოლიდაციის საფუძველს ქმნიდა. მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსგავსი მიდგომები ზოგ ქვეყანაში ისევ შემორჩა (მაგალითად, გასული საუკუნის 90-იანი წლების პოლონეთში) და პოლიტიკაში უკომპრომისო ბრძოლის ელემენტები დანერგა.

ამ ისტორიული ექსკურსის საჭიროება დღევანდელ ქართულ პოლიტიკურ ველზე არსებულმა სურათმა მოიტანა - ქართული პოლიტიკის პოლარიზაციის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი აქ უნდა ვეძიოთ. დამოუკიდებლობის დღიდან მოყოლებული, პოლიტიკური პარტიები ცდილობენ, საკუთარი მხარდამჭერები და ამომრჩევლები სწორედ უკომპრომისო და შეურთველებელი პოზიციონირებით მოხიბლონ; მათ დისკურსში კომპრომისი და მეორე მხარის ლეგიტიმაცია იშვიათია - მონაწილეობა მტერია და უნდა მოისპოს, ვინაიდან არ შეიძლება ორი სიმართლე და შესაბამისად, ორი ერთმანეთთან დაპირისპირებული ლეგიტიმური ინტერესი არსებობდეს.

სწორედ აქ ჩანს, რომ ასეთი, სამოქალაქო საზოგადოებისთვის სავსებით მისაღები დამოკიდებულება, სრულიად არაპროდუქტიულია პოლიტიკაში, სადაც თავად სიტყვა - „პარტიის“ ეტიმოლოგია რაღაცის ნაწილს მიანიშნებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, განსაზღვრების თანახმად, პოლიტიკური პარტია არ შეიძლება იყოს ზოგადად,

<sup>2</sup> Linz, 269-276

<sup>3</sup> Havel, Vaclav, *The Power of the Powerless* (London: Vintage 2018), Chapter VII

ერთადერთი და შესაბამისად, ერთადერთი ქვემარტების მატარებელი - ის საზოგადოების კონკრეტული ნაწილის აზრს გამოხატავს. ამ პრინციპის გაზიარება კი საშუალებას იძლევა, სხვა პარტიასთან, სხვა მხარესთან, საზოგადოების სხვა ნაწილთან გარიგება არ ჩაითვალოს სიმართლის, ქვემარტების და შესაბამისად, საკუთარი სინდისის ღალატად. მსგავსი პრობლემის იდენტიფიცირება მოახდინეს ზემოხსენებულმა ავტორებმა პოლონეთში და სწორედ ამ ფაქტორმა შეუშალა ხელი იმდროინდელი პოლონეთის დემოკრატიული ტრანსფორმაციის დასრულებას. სამწუხაროდ, 25 წლის შემდეგ ჩვენთვის ეს გამოწვევა კვლავაც სახეზეა - არც პოლიტიკური საზოგადოების ტრანსფორმაცია მომხდარა და შესაბამისად, არც საქართველო ჩამოყალიბებულა დემოკრატიულ ქვეყნად.

შესაძლოა, დისიდენტური მოძრაობის დროს გაჩენილი იდეა, სადაც ერთიანობა ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულებაა და მთავარია კომუნისტური რეჟიმის ოპონირება, მიუხედავად მის წინააღმდეგ მებრძოლთა იდეოლოგიური თუ ტაქტიკური მიდგომების მრავალფეროვნებისა, ასეთი სიცოცხლისუნარიანი იმიტომ აღმოჩნდა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე - ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ორგანიზაცია სწორედ ამგვარ მსოფლმხედველობას იყენებდა ხალხის მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ბოლო 30 წლის მანძილზე ხელისუფლებაში მყოფი პარტია თუ მისი ოპონენტები ამომრჩეველს ერთადერთ, ნამდვილად ქვეყნისთვის მოამაგე ძალად მხოლოდ საკუთარ თავს სთავაზობენ და ბარიერის იქით მყოფს თუ ხელაღებით მტრად არა, სასარგებლო იდიოტად მაინც წარმოაჩენენ. შესაბამისად, ბრძოლა ყოველთვის სრულ გამარჯვებამდეა და მოწოდებებიც სწორედ ამგვარია - კონკრეტული პარტიის მიმდინარე რეიტინგის მიუხედავად. ქართული საარჩევნო კამპანიების ისტორიაში არაერთი შემთხვევაა, როცა პოლიტიკური პარტია, რომელმაც საარჩევნო ბარიერის გადალახვა ვერ მოახერხა, ამომრჩეველს ხელისუფლებაში მოსვლის გარდაუვლობაში არწმუნებდა. სწორედ ამგვარი ტაქტიკა ასაზრდოებს რადიკალიზაციას, ვინაიდან, მსგავსი პოლიტიკური კამპანიების შემდეგ, ძნელია, საკუთარი მხარდამჭერი დაარწმუნო, რომ სხვა პარტიასთან შეთანხმება პრინციპების ღალატს არ ნიშნავს. ძნელია, რადგან ცოტა ადრე ეუბნებოდი, რომ დღევანდელი მოკავშირე სამშობლოს მტერია. ამიტომაც გვაქვს პოლიტიკური კულტურა, რომლისთვისაც კოალიციების შექმნა, კომპრომისზე წასვლა, მოწინააღმდეგესთან თანამშრომლობა და საერთო ენის გამონახვა მიუღებელია.

საბჭოთა დიქტატურის კიდევ ერთი გადმონაშთი, რომელიც გარკვეული სახეცვლილებით შეინარჩუნა ჩვენმა პოლიტიკურმა კულტურამ, წინა ხელისუფლების ნებისმიერი მიღწევის უარყოფაა. ხრუშჩოვიდან მოყოლებული, საბჭოთა ტრადიციად ჩამოყალიბდა წინა ლიდერის ნებისმიერი ინიციატივის დაგმობა, დამცირება ან იგნორირება. ასე გაგრძელდა დამოუკიდებლობის შემდეგაც და ეს არც არის გასაკვირი, თუ გავიაზრებთ, რომ ნებისმიერ პოლიტიკურ კამპანიას რადიკალური ლოზუნგები ასაზრდოებდა. ოპოზიციის დღის წესრიგში ყოველთვის იყო ქვეყნის მტრებისგან - სხვა სიტყვებით, იმდროინდელი მთავრობისგან სამშობლოს გამოსხნა. ბუნებრივია, როცა ეს ამოცანა

წარმატებით სრულდებოდა, როგორც 1992, 2003, 2012 წლებში, წინამორბედის ყველა მიღწევის დამცრობა და იგნორირება პროცესის ერთადერთ ლოგიკურ გაგრძელებად ჩანდა.

ზემოხსენებული გარემოებები ცხადად გვიჩვენებს, რომ საქართველოში პოლიტიკურ კონკურენტებს შორის პოლარიზაციას ბევრი არაფერი აქვს საერთო დასავლურ დემოკრატიებში ბოლო წლების ტენდენციასთან, როცა პოპულისტური იდეებით შეიარაღებული ახალი პოლიტიკური ძალები რადიკალური ლოზუნგებით მოვიდნენ ხელისუფლებაში და სტატუს ქვო შეარყიეს. სამწუხაროდ, ჩვენთან პოლიტიკურ პოლარიზაციას და ოპონენტების დელეგიტიმაციას უფრო ღრმად გადგმული ფესვები და მყარი საფუძვლები გააჩნია. ქართულ პოლიტიკაში რადიკალიზაციას ბევრი მიზეზი აქვს და დემოკრატიზაციის მთავარ პოლიტიკურ შემაფერხებლად გვევლინება.

შესაბამისად, მთავარი ამოცანა ამ მოჯადოებული წრის გარღვევაა, რასაც განსხვავებული, დემოკრატიისთვის უფრო მისაღები პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბება მოჰყვება. ერთი, ბევრგან ნაცადი გზა საარჩევნო რეფორმაა და ამ თვალსაზრისით, 2024 წელს მეტნაკლებად ოპტიმალური ვარიანტით უნდა შევხვდეთ - პროპორციული საარჩევნო სისტემა შედარებით დაბალი ბარიერით ხელს შეუწყობს მრავალპარტიულობას და მნიშვნელოვნად გაზრდის კოალიციური მთავრობის შექმნის ალბათობას. ერთი მხრივ, ეს იმედისმომცემი პერსპექტივაა, თუმცა თუ 2012-2013 წწ. კოჰაბიტაციისადმი საზოგადოების მკვეთრად ნეგატიურ განწყობას გავითვალისწინებთ და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ განვითარებულ პოლიტიკურ კრიზისსაც გავიაზრებთ, ცხადი გახდება, რომ არამცთუ კომპრომისი და კონსენსუსი, მოწინააღმდეგე მხარესთან ცივილური ურთიერთობებიც კი ქართული პოლიტიკის მთავარი აქტორებისთვის ხშირად უხერხული და არასასურველი არჩევანია.

კიდევ ერთი საშუალება, რომელმაც უნდა შეამციროს პოლიტიკური ბრძოლის მიდგომა - სადაც ყველაფერი გამარჯვებულს ეკუთვნის, პოლიტიკური პარტიების დემოკრატიზაციაა. მართალია, ზოგჯერ სისტემის მახასიათებლებს მისი შემადგენელი ელემენტების ნიშან-თვისებები ვერ განსაზღვრავს, მაგრამ ამ შემთხვევაში, შეგვიძლია იმედი გვექონდეს, რომ შიდაპარტიული დემოკრატია უფრო ტოლერანტულს გახდის პოლიტიკურ კულტურას. პარტიების დემოკრატიულობა ხაზს გაუსვამს მათ წარმომადგენლობით ხასიათს და ოპონენტს გაუჭირდება წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციის დემონიზება. ამგვარი სტრატეგია უფრო დამაჯერებელია, როცა პარტია ერთი პიროვნების ან ჯგუფის ეგოისტური ამბიციების ინსტრუმენტად შეგვიძლია წარმოვაჩინოთ. იმ შემთხვევაში კი, როცა მოწინააღმდეგე დემოკრატიულ პრინციპებზე შექმნილი ორგანიზაციაა, მისი დემონიზება მეტ პოლიტიკურ რისკს დაუკავშირდება. თუ ეს საფრთხე საკუთარმა მხარდამჭერმა არ გაიაზრა, დანაკარგი რეიტინგზეც აისახება. სწორედ ამ პრინციპს ეფუძნება ლიბერალური მშვიდობის თეორია საერთაშორისო ურთიერთობებში - დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთს არ ებრძვიან.<sup>4</sup> ისინი არ იწყებენ ომს

<sup>4</sup> Russett, Bruce & John Oneal, *Triangulating Peace* (New York/London: Norton 2001), chapter 2



ორი ძირითადი მიზეზის გამო: დემოკრატიული მმართველობისას გადაწყვეტილების მიღება დროში განელილია და ბევრი მონაწილე ჰყავს, რაც მეორე მხარეს აძლევს საშუალებას, დააკვირდეს პროცესს და განმუხტოს სიტუაცია. მეორე მიზეზი კი ისაა, რომ თუკი დემოკრატია მეორე მხარესაც ასეთად აღიქვამს, ხვდება, რომ სანინალმდეგო პოზიციაც ხალხის მხარდაჭერით სარგებლობს და სულ ცოტა, იმსახურებს პატივისცემას. სავსებით შესაძლებელია, ამ ელემენტებმა შეარბილოს პარტიებს შორის დაპირისპირება.

შიდა დემოკრატია მოაქვს გამჭვირვალობაც, რაც პოლიტიკური პარტიებისადმი ნდობას აამაღლებს და გაართულებს მათ დელეგირებულობას. შიდა დემოკრატია მოქალაქეთა უფრო დიდი ჯგუფების ჩართულობას უზრუნველყოფს, რაც, ორგანიზაციის შიგნით სხვადასხვა შეხედულებების არსებობის და გაზიარების გარანტიაა. ეფექტი კიდევ უფრო ძლიერდება მას შემდეგ, რაც პარტიაში უმცირესობების, ქალებისა და ახალგაზრდების ჩართულობა იზრდება. ეს უკანასკნელი დემოკრატიულობის ზრდის პროპორციულად იმატებს, ამიტომ გარდამავალი დემოკრატიებისა და ჰიბრიდული რეჟიმების განხილვისას პოლიტიკური პარტიების დემოკრატიზაციის თემას სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა. თუმცა, ჯერჯერობით, ეს საკითხი ახალია და შესაბამისად, არც პარტიების დემოკრატიულობის განმსაზღვრელი ფართოდ აღიარებული და გაზიარებული ინდექსი გვაქვს. არსებობს რამდენიმე სტატია და კონკრეტული მოდელი, რომლებიც პარტიების დემოკრატიულობის ხარისხს კონტექსტიდან გამომდინარე ადგენს. ვიმედოვნებთ, ამ საკითხისადმი ინტერესის ზრდასთან ერთად, მკვლევრები ერთ მოდელზე შეჩერდებიან. მანამდე კი შევეცდებით, ქართული რეალობიდან გამომდინარე კონკრეტული ინდექსი შემოგთავაზოთ, რომელიც, მართალია, გაზიარებულ თეორიულ მოდელებს ეყრდნობა, მაგრამ ითვალისწინებს ჩვენს ინდივიდუალურ გარემოებებსაც.



## გეოლოგია

წინამდებარე მოდელი ეფუძნება ბრაზილიელი პოლიტიკური მკვლევრის, ენეიდა დეზირე სალგადუს მიერ შემუშავებულ კონცეფციას, რომელიც, თავის მხრივ, მანამდე არსებული მიდგომების ინტეგრირებით შეიქმნა.<sup>5</sup> მოდელი ბრაზილიურ პოლიტიკურ პარტიებს 5 ძირითადი მიმართულებით აფასებს. ესენია:

1. პარტიის მმართველი ორგანოების დაკომპლექტების წესები;
2. კონფლიქტის რეგულირების წესები;
3. პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურა;
4. პარტიის პროგრამის/პლატფორმის განსაზღვრის წესები;
5. განევრიანების პროცედურები.

თითოეული ასპექტისთვის სხვადასხვა კრიტერიუმი გამოიყენება. შეფასებისას თითოეული კრიტერიუმი მხოლოდ - 0 ან 1 ქულით აღინიშნება. თუ კონკრეტული კრიტერიუმი წარმოდგენილია, 1 ქულა იწერება, თუ არა - 0. დადებითი პასუხი (1) დემოკრატიულობაზე მიუთითებს, უარყოფითი - არადემოკრატიულობის მაჩვენებელია. კრიტერიუმების საშუალო არითმეტიკული გვაძლევს მოცემულ ასპექტში პარტიის დემოკრატიულობის ხარისხს, დიაპაზონით - 0-დან 1-მდე, სადაც, შესაბამისად, მეტი ქულა მეტ დემოკრატიულობაზე მიუთითებს. იმავე მეთოდით ითვლება პოლიტიკური პარტიის დემოკრატიულობის საერთო მაჩვენებელი - ზემოთჩამოთვლილი 5 ასპექტის საერთო მაჩვენებლის გასაშუალოებით. ამ მოდელში 5 ძირითად მიმართულებაზე 31 კრიტერიუმია წარმოდგენილი, თუმცა ბევრი მათგანი ბრაზილიის კონტექსტსაა მორგებული და ისეთ გარემოებებს ითვალისწინებს, როგორცაა ქვეყნის ფედერაციული მოწყობა, საარჩევნო სისტემა, კანონმდებლობის მოთხოვნები და პოლიტიკური ტრადიცია. გადაწყვეტით, იგივე გზა აგვეჩიხა და საქართველოს პოლიტიკური პარტიების დემოკრატიულობის ხარისხის განსაზღვრისთვის სწორედ ეს ფაქტორები გაგვეთვალისწინებინა.

თუმცა, ქართული პოლიტიკური საზოგადოების ნაკლებად კომპლექსური ხასიათის გამო, მოდელის გამარტივება ოპტიმალური გადაწყვეტილება აღმოჩნდა. ასე მაგალითად, არსებულ მოდელში პარტიაში განევრებისა და არჩევნებში კანდიდატების შერჩევის პროცედურები გაერთიანებულია; ცალ-ცალკეა გამოყოფილი ორგანიზაციის მმართველი ორგანოების ფორმირების წესი, ორგანიზაციული სტრუქტურა და დავების გადაწყვეტის პროცედურები. სპეციფიკიდან გამომდინარე, ცალკე მიმართულებად გამოვყავით არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები, ორგანიზაციულ მოწყობაში კი გავერთიანეთ კრიტერიუმები, რომლებიც მმართველ ორგანოებსა და მათ დაქვემდებარებულ

<sup>5</sup> Salgado, Eneida Desiree, "Intra-Party Democracy Index: A Measure Model from Brazil," Journal of Constitutional Research 7, No. 1 (January/April 2020): 107-136 <https://revistas.ufpr.br/rinc/article/view/74101> ბოლო ნვდომა 02.06.2021

უნყებებთან მიმართებას შეეხება, დავების გადაწყვეტის პროცედურები კი ჩვეულებრივი წევრებისა და ტრადიციულად შედარებით ნაკლებად ინტეგრირებული ჯგუფების უფლებების დაცვის მექანიზმებთან ერთად ჩავსვით. შესაბამისად, ხუთის ნაცვლად მივიღეთ სამი ძირითადი მიმართულება:

1. საარჩევნო ინსტიტუციები;
2. ორგანიზაციული სტრუქტურა;
3. უფლებების დაცვის მექანიზმები.

ამ სფეროების შეფასება კვლავ კონკრეტული კრიტერიუმებით მოხდა, რომელთა ჩამონათვალი, აღწერა და გამოყენების დასაბუთებაც იქვეა მოცემული. ასე რომ, კრიტერიუმები 15-მდე შემცირდა და თითოეულ სფეროზე თანაბრად განაწილდა. გარკვეულწილად, შეიცვალა შეფასების სისტემა: თუკი ბრაზილიურ სისტემაში თითოეული კრიტერიუმი 0-დან 1-მდე შუალედით ფასდებოდა, ჩვენ შემთხვევაში შუალედური გრადაცია - 0.5 დაემატა. ამის მიუხედავად, შეფასების კომპლექსურობა არ გაზრდილა: 0 კონკრეტული ინდიკატორის არარსებობას აღნიშნავს, 0.5 - ამ მიმართულებით განერილი პროცედურის თაობაზე მიუთითებს, 1 კი დამატებით მოთხოვნებსაც აკმაყოფილებს, როგორც ეს დანართშია წარმოდგენილი. სხვა მხრივ, მოდელი იმეორებს ბრაზილიურ ფორმულას და საშუალოს გამოთვლით თითოეულ სფეროში ადგენს ამა თუ იმ პარტიის დემოკრატიულობის ხარისხს 0-დან 1-მდე, ხოლო 3 ძირითადი მიმართულების საშუალოს საერთო რეიტინგულ ქულამდე მივყავართ, რომელიც ასევე 0-დან 1-მდე დიაპაზონითაა წარმოდგენილი.

ამ საპილოტე პროექტის შემთხვევაში შეფასებები მთლიანად შერჩეული პოლიტიკური პარტიების ოფიციალურ წესდებებსა და დოკუმენტების ანალიზს დაეყრდნო, როგორც მათ ოფიციალურ გვერდზე და პოლიტიკურ პარტიების რეესტრშია წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში პარტიები, შესაძლოა, უფრო მეტად ან ნაკლებად დემოკრატიული პრინციპებით იმართებოდეს, მიგვაჩნია, რომ დემოკრატიული მმართველობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წესების ინსტიტუციონალიზაციას: მაშინ, როცა ავტორიტარული მოწყობის ორგანიზაციაში ვერ გამოვრიცხავთ დეტალურად განერილი წესების არსებობას, მათი არარსებობის შემთხვევაშიც დიქტატზე დაფუძნებული მმართველობა სავსებით შესაძლებელია. სამაგიეროდ, დემოკრატიული მმართველობის განხორციელება ანგარიშგასაწევი სიდიდის პოლიტიკურ პარტიაში დეტალურად განერილი წესების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია - ამ შემთხვევაში, პროცესებში მონაწილეთა რაოდენობა (ვინაიდან საქმე ერთპიროვნულ მმართველობასთან არ გვაქვს) და დაუნერული წესების ნაირგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა უკიდურესად ართულებს მართვას. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, მივიჩნიეთ, რომ მხოლოდ ოფიციალური დოკუმენტების ანალიზიც კი საქართველოს პოლიტიკური პარტიების შიდა დემოკრატიულობის ხარისხზე გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნიდა.

ეს ყოველივე გასათვალისწინებელია აღნიშნული მოდელის მიხედვით მიღებული შედეგების ინტერპრეტაციისას. ფაქტია, რომ ინსტიტუციები ფორმალური და

არაფორმალური წესებისგან შედგება და ეს ინდექსი მხოლოდ მათ ფორმალურ ნაწილს აფასებს. დაუნერული წესები კი ხშირად არანაკლებ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ორგანიზაციის ხასიათზე, ქცევასა თუ თამაშის წესებზე. მაგალითად საბჭოთა კავშირიც გამოდგება, რომლის კონსტიტუციაც საერთოდ ვერ ასახავდა ქვეყნის მართვისა და ფუნქციონირების ძირითად მახასიათებლებს. ასეთი დრამატული აცდენა ქართული პარტიების შემთხვევაში ნამდვილად არ იქნება, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ არაფორმალური მიმართებლობა ნაკლებად ინსტიტუციონალიზებულ გარემოში უფრო მოსალოდნელია. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამგვარი არაფორმალური წესები უფრო მეტად ავტორიტარული ტენდენციის მატარებელი იქნება, განსაკუთრებით, შედარებით ძველ პარტიებთან მიმართებაში. ახლადშექმნილ ორგანიზაციებში არაფორმალური ინსტიტუციები შესაძლოა, უფრო მეტ დემოკრატიულობაზე მიუთითებდეს, ვიდრე ჩვენს მოდელში გამოჩნდა. კვლევის შედეგების ინტერპრეტაციისას ამ შემზღუდველი გარემოებების გათვალისწინებაც მნიშვნელოვანია.

მომდევნო ეტაპი რელევანტური პარტიების შერჩევა იყო. დღევანდელი მონაცემებით საქართველოში რეგისტრირებულია 265 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება,<sup>6</sup> რომელთაგან ბევრი აღარ ფუნქციონირებს. ბუნებრივია, მიზანშეწონილი ვერ იქნება თითოეული მათგანის დემოკრატიულობის თვალსაზრისით შეფასება. საქართველოს პოლიტიკური სისტემისა და კულტურის შეფასებისთვის, რისი ნაწილიცაა პარტიების შიდა დემოკრატიულობის განსაზღვრა, საჭიროა მხოლოდ მნიშვნელოვანი აქტიური და ანგარიშგასაწევი პარტიების გათვალისწინება. პრაქტიკული თვალსაზრისით კი უნდა გამოვიყენოთ კონკრეტული კრიტერიუმები, რომლებიც განსაზღვრავს, რომელი პოლიტიკური გაერთიანება აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მახასიათებლებს. ამ თვალსაზრისით, რამდენიმე მიდგომა არსებობს: შესაძლებელია ლააკსო-ტააგეპერას ინდექსის გამოყენება, რომელიც პარტიების რაოდენობას მიღებული ხმების/ადგილების პროპორციით ითვლის.<sup>7</sup> ასევე შესაძლებელია, მივყვეთ ჯოვანი სარტორის შინაარსობრივ განსაზღვრებას, რომლის მიხედვითაც მხოლოდ ის პარტიებია რელევანტური, რომელთაც საკანონმდებლო პროცესზე რეალური გავლენა შეუძლია (ანუ მათი ხმებია საჭირო კანონების გასატანად).<sup>8</sup> მეორე მხრივ, ჩვენი პოლიტიკური დინამიკიდან გამომდინარე, პარტია, რომელიც დღეს რელევანტურია, ხვალ შესაძლოა, საერთოდ აღარ არსებობდეს. ამიტომ აუცილებელია, დღევანდელ სურათს გავცდეთ.

საჭიროა გარკვეული დროითი ჩარჩოს შემოსაზღვრა, რომელიც ჩვენს დასკვნებს მეტ დამაჯერებლობას შესძენს. უპრიანი იქნება, რომ რელევანტურ პოლიტიკურ გაერთიანებებად ჩავთვალოთ ის ორგანიზაციები, რომლებიც, როგორც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, ასევე დღესაც, მსგავს ერთეულებს წარმოადგენს. თუმცა, კიდევ ერთი მოდიფიკაცია მოგვიწევს: რელევანტურ პარტიებთან მიმართებაში არ

6 საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო. პოლიტიკური გაერთიანებები. <https://napr.gov.ge/p/477> ბოლო წვდომა 02.06.2021

7 Laakso M, Taagepera R. "Effective" Number of Parties: A Measure with Application to West Europe. *Comparative Political Studies*. 1979; 12(1):3-27. doi:10.1177/001041407901200101 ბოლო წვდომა 02.06.2021

8 Giovanni Sartori. *Parties and Party Systems*. ECPR 2016 chapter 5

გამოგვადგება არც ლააკსო-ტააგეპერას და არც სარტორის დეფინიციები. საქმე ისაა, რომ ისევ ჩვენი პოლიტიკური კონუნქტურის გათვალისწინებით, ასეთი მკაცრი კრიტერიუმის გამოყენებისას ხელში მხოლოდ 2-3 პარტია შეგვრჩება - ისიც საუკეთესო შემთხვევაში. არც ეს იქნებოდა პრობლემა, რომ არა ზემოთხსენებული დინამიზმის ფაქტორი, რომელიც არსაიდან აღმოაცენებს ან აღაზევებს ხოლმე მნიშვნელოვან მოთამაშებად ქართულ პოლიტიკაში ახლადშექმნილ პოლიტიკურ პარტიებს. ამიტომ ჩვენნაირ ჩამოუყალიბებელ, დინამიურ და ხანდახან ქაოსურ სისტემაში მნიშვნელოვანია, არ გამოგვრჩეს დღეს ერთი შეხედვით, უმნიშვნელო მოთამაშეები, რომელთაც ხვალ პოლიტიკურ ველზე შესაძლოა, განსაკუთრებული როლი აღმოაჩნდეთ. შესაბამისად, რელევანტურად ჩავთვლით ყველა იმ პარტიას, რომელმაც 2012 წლიდან დღემდე რომელიმე არჩევნებში საერთო ეროვნული ხმების მინიმუმ 1% მოიპოვა და 2020 წელსაც მონაწილეობდა პარტიული სიით. კოალიციების შემთხვევაში, საერთო კოალიციურ შედეგს ლიდერ პარტიას ჩავთვლით (ლიდერის დასადგენად ლოგიკურ მიდგომას გამოვიყენებთ. ასე მაგალითად, 2014 წელს 3%-ზე მეტი ხმა მიიღო კოალიციამ - „ბურჯანაძე - გაერთიანებული ოპოზიცია“. ფაქტია, აქ ლიდერი ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური ორგანიზაციაა). შესაბამისად, ამ კრიტერიუმების მიხედვით 14 პოლიტიკური გაერთიანება შევარჩიეთ:

1. ქართული ოცნება
2. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
3. საქართველოს ლეიბორისტული პარტია
4. პატრიოტთა ალიანსი
5. ევროპული საქართველო
6. გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი
7. ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩი
8. ლელო საქართველოსთვის
9. ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები
10. თავისუფალი დემოკრატები
11. საქართველოს რესპუბლიკური პარტია
12. ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობა
13. თავისუფალი საქართველო
14. სახელმწიფო ხალხისთვის


ამ სიას შემდგომში „**სახელმწიფო ხალხისთვის**“ გამოაკლდა, რადგან ამ ორგანიზაციის წესდება ვერ მოვიძიეთ, მათ შორის, ვერც საჯარო რეესტრში. პარტიას არ გააჩნია ვებ გვერდი და მისი ფეისბუქ გვერდი ბოლოს 2016 წელს განაახლეს. ეს ყოველივე საკმარისი საფუძველი აღმოჩნდა ამ პარტიის სიიდან ამოსაღებად - შერჩევის კრიტერიუმების საერთო სულისკვეთების გათვალისწინებით.

აქვე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ოფიციალური და მოქმედი ვებ გვერდი მხოლოდ 8 პარტიას აქვს (ზემოთ წარმოდგენილ ცხრილში ზედა 8 ორგანიზაცია, „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეების“ გამოტოვებით), დანარჩენი პარტიები კი მხოლოდ ფეისბუქ გვერდით შემოიფარგლებიან.

# კვლევის შედეგები

შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად შეფასდა 13 პარტიის ინდიკატორები და საერთო სურათმა დემოკრატიულობის შედარებით დაბალი ხარისხი უჩვენა. ვერც ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ ვერ გადალახა შუალედური მაჩვენებელიც კი, უფრო დეტალურად ეს ყველაფერი ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილშია მოცემული.

**ცხრილი 1. შიდაპარტიული დემოკრატიის ინდექსი 2021**



კონკრეტული მიმართულებების ანალიზმა აჩვენა, რომ ქართულ პოლიტიკურ პარტიებს ყველაზე მეტად უფლებების დაცვის გარანტირების კუთხით უჭირთ. მეორე მხრივ, ჩანს, რომ შედარებით ახალ პარტიებში დემოკრატიულობის მეტი ტენდენცია შეინიშნება. ინსტიტუციონალიზაციასთან ერთად კი სავარაუდოა, რომ ეს მაჩვენებლები შეიძლება გაუმჯობესდეს.

**„თავისუფალი საქართველო“** იმ ორი პარტიიდან ერთ-ერთია, რომელმაც ამ ინდექსის მიხედვით ყველაზე დაბალი ქულა მიიღო. ეს რამდენიმე გარემოებით იყო განპირობებული: პირველი - ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც იძებნებოდა, პოლიტიკური პარტიების რეესტრში ატვირთული პარტიის წესდება იყო.<sup>9</sup> ორგანიზაციას ვებ გვერდი არ გააჩნია, ხოლო ფეისბუქ გვერდზე ოფიციალური დოკუმენტები არ იძებნება; მეორე - ეს ყველაზე მოკლე წესდებაა განხილულ მსგავს დოკუმენტებში და შესაბამისად, ბევრ დეტალზე პასუხს ვერ იძლევა. მაგალითად, საარჩევნო საკითხებთან მიმართებაში დოკუმენტი

<sup>9</sup> საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. პოლიტიკურ პარტიათა რეესტრი. [https://pareg.napr.gov.ge/main.php?c=app&m=view\\_doc&doc\\_id=575123](https://pareg.napr.gov.ge/main.php?c=app&m=view_doc&doc_id=575123) ბოლო წვდომა 02.06.2021



მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ პარტია დემოკრატიული პრინციპებით იმოქმედებს, თუმცა კონკრეტული მექანიზმი არ ჩანს; დოკუმენტი შემადგენელი სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებზეც კი არ საუბრობს და მხოლოდ ჩამოთვლის მათ; არაფერია ნათქვამი წევრთა უფლებების დაცვაზე და ზოგადაა ანგარიშვალდებულების მექანიზმები; პარტიის თავმჯდომარის უფლებები კიდევ უფრო ფართოა, ვიდრე სხვა პარტიების შემთხვევაში.

**ცხრილი 2. „თავისუფალი საქართველო“ - დეტალური შეფასება**

ინდიკატორები	შეფასება
პროპორციული არჩევნები	0
მაჟორიტარების შერჩევა	0
ადგილობრივი არჩევნები	0
საარჩევნო რესურსები	0
საარჩევნო პლატფორმა/პროგრამა	0.5
<b>საარჩევნო ინსტიტუციები</b>	<b>0.10</b>
მმართველი ორგანოები	0.5
ლიდერის თანამდებობა	0
ვადამდელი გადარჩევის წესი	0
შიდა მონიტორინგის სამსახური	0.5
დეცენტრალიზაციის დონე	0
<b>ორგანიზაციული სტრუქტურა</b>	<b>0.20</b>
ანგარიშვალდებულება	0.5
რესურსების გადანაწილება	0
დავების განხილვა	0
საგამოძიებო დისციპლინარული კომისიები	0
თანასწორობის ხელშეწყობა	0
<b>უფლებების დაცვის მექანიზმები</b>	<b>0.10</b>
<b>ჯამური ინდექსი</b>	<b>0.13</b>

ასეთივე რეიტინგი აქვს „პატრიოტთა ალიანსსაც“, რომელიც თითქმის 10 წელია, საპარლამენტო პარტიას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ განხილული პოლიტიკური გაერთიანებისგან განსხვავებით, მას ვებ გვერდიც გააჩნია და წესდებაც გაცილებით ინფორმაციულია, აღმოჩნდა, რომ შიდა დემოკრატიისთვის მნიშვნელოვანი საკითხები, ფაქტობრივად, წარმოდგენილი არც აქ არის. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ

საქართველოს კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“,<sup>10</sup> საკმაოდ ლიბერალურია ბევრი სხვა ქვეყნის ანალოგიურ დოკუმენტთან შედარებით და პარტიებისგან არ მოითხოვს რეგიონულ დაფარვას მუდმივმოქმედი ოფისების გახსნით, წევრთა გარკვეულ რაოდენობას და ა.შ; ერთადერთი, რაც უფრო დეტალურად რეგულირდება, დაფინანსების წყაროების გამჭვირვალობა და სახელმწიფოს წინაშე ფინანსური ვალდებულებების შესრულებაა. უხეშად რომ ვთქვათ, 13-გვერდიან კანონში 7 გვერდი ფინანსებს ეხება და მხოლოდ 3 - პარტიის შექმნასა და მისი ფუნქციონირების წესებს. თუმცა, სახელმწიფო არ ერევა პარტიის შიგნით ფინანსების განაწილებაში და არ ითხოვს, ეს რესურსი რომელიმე ჯგუფზე, მაგ., ახალგაზრდებზე, უმცირესობებსა და/ან ქალებზე რაღაც დობით განაწილდეს, ან წევრებს ჰქონდეთ ეფექტიანი მექანიზმები ბიუჯეტის გასაკონტროლებლად.

მეორე მხრივ, კანონში გარკვეული მოთხოვნები მაინც არის ჩადებული, რაც მიზნად ისახავს პარტიაში დემოკრატიული მმართველობის უზრუნველყოფას ან მინიმუმ, წახალისებას; მაგალითად, კანონი მოითხოვს, რომ პარტიაში იყოს ხელმძღვანელი, აღმასრულებელი და მონიტორინგის შტოები. ამ კონტექსტის გათვალისწინება აუცილებელია, რათა მცდარი წარმოდგენა არ შეგვექმნას საქართველოში რეგისტრირებული პარტიების დემოკრატიულობაზე - მათი წესდებები ამ მოთხოვნებს უცილობლად ასრულებს, გამომდინარე კანონის წინაშე არსებული ვალდებულებიდან. ამიტომ მნიშვნელოვანი იყო გვენახა, წესდებებში ეს საკითხები უბრალოდ მოხსენიებულია თუ ნაფიქრია მათ შინაარსზეც. მაგ. სარევიზიო ორგანო ყველა წესდებაში გვხვდება, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთი პარტია განმარტავს, რომ ამ ერთეულის წევრი არ შეიძლება იყოს სხვა მმართველი ორგანოს წევრიც, რაც მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ სარევიზიო კომისიამ თავისი ფუნქციები მიკერძოების გარეშე აღასრულოს. ასე რომ, ნებისმიერ წესდებაში შეხვდებით ხელმძღვანელ ორგანოს - ძირითადად, ყრილობას; აღმასრულებელ ერთეულს - სამდივნოს, გამგეობას და/ან პოლიტსაბჭოს და კონტროლის სამსახურს - სარევიზიო კომისიას. ეს დემოკრატიულობის შთაბეჭდილებას ქმნის, მაგრამ მათი ფუნქციების ჩაშლისა და ანალიზის გარეშე ამის მტკიცება მცდარია. ანალიზისას სწორედ ამ კონტექსტს ვითვალისწინებთ - როგორც ამ ორი პარტიის შემთხვევაში, ასევე, დანარჩენების განხილვის დროსაც.

სხვა ოფიციალური დოკუმენტი „**პატრიოტთა ალიანსის**“ ოფიციალურ ვებ გვერდზეც არ იძებნება, ამიტომ ჩვენი შეფასების წყარო მხოლოდ ამ ორგანიზაციის წესდებაა, რომელიც ასევე რეესტრის გვერდზე მოვიპოვეთ.<sup>11</sup> ამ დოკუმენტში საერთოდ არაფერია ნათქვამი არჩევნებზე და საარჩევნო სიებისა თუ კანდიდატების შერჩევის პროცესზე; პირდაპირ არც პროგრამული დოკუმენტია ნახსენები, მაგრამ ვინაიდან მუხლში 8.2 ნათქვამია, რომ პარტიის თავმჯდომარე პარტიის სტრატეგიას და ტაქტიკას შეიმუშავებს, ჩავთვალეთ, რომ იგულისხმება პროგრამა/პლატფორმაც და აქედან გამომდინარე, ამ კომპონენტში შეფასება აბსოლუტურ ნულს აცდა; მეორე კომპონენტში, რომლითაც

<sup>10</sup> საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ. <https://matsne.gov.ge/document/view/28324?publication=34> ბოლო წვდომა 04.06.2021

<sup>11</sup> საჯარო რეესტრი. პატრიოტთა ალიანსის წესდება. [http://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=900&bid=wjOAaks1dpXcKWTeUQz9j1TswJF51l\[xz0di2ce7eXwdroSLMyoAvsUqSieg5\]WI](http://bs.napr.gov.ge/GetBlob?pid=900&bid=wjOAaks1dpXcKWTeUQz9j1TswJF51l[xz0di2ce7eXwdroSLMyoAvsUqSieg5]WI) ბოლო წვდომა 04.06.2021



ურთიერთკონტროლის მექანიზმები, დეცენტრალიზაციის დონე და მმართველობის დემოკრატიულობა მოწმდება, პარტიამ საშუალო შედეგი აჩვენა. აღსანიშნავია, რომ ჩვენს სიაში ეს ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელიც ზღუდავს ერთი და იგივე პირის ლიდერად არჩევას. მესამე კომპონენტში კი, რომელიც უმცირესობებისა და რიგითი წევრების უფლებებს აფასებს, „პატრიოტთა ალიანსმა“ ვერც ერთი დადებით შეფასება ვერ მიიღო, რადგან წესდებაში მსგავსი მექანიზმები არ იკითხება.

**ცხრილი 3. „პატრიოტთა ალიანსი“ - დეტალური შეფასება**

ინდიკატორები	შეფასება
პროპორციული არჩევნები	0
მაჟორიტარების შერჩევა	0
ადგილობრივი არჩევნები	0
საარჩევნო რესურსები	0
საარჩევნო პლატფორმა/პროგრამა	0.5
<b>საარჩევნო ინსტიტუციები</b>	<b>0.10</b>
მმართველი ორგანოები	0.5
ლიდერის თანამდებობა	0.5
ვადამდელი გადარჩევის წესი	0
შიდა მონიტორინგის სამსახური	0.5
დეცენტრალიზაციის დონე	0
<b>ორგანიზაციული სტრუქტურა</b>	<b>0.30</b>
ანგარიშვალდებულება	0
რესურსების გადანაწილება	0
დავების განხილვა	0
საგამოძიებო დისციპლინარული კომისიები	0
თანასწორობის ხელშეწყობა	0
<b>უფლებების დაცვის მექანიზმები</b>	<b>0.00</b>
<b>ჯამური ინდექსი</b>	<b>0.13</b>

„ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობა“ ასევე, სიის ქვედა ნაწილშია 0.17 ქულით. ამ შემთხვევაშიც არაფერია ნათქვამი საარჩევნო სიის ფორმირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, თუმცა ნახსენებია საარჩევნო პროგრამა. ამავდროულად, ისევე, როგორც სხვა პარტიების შემთხვევაში, არ ჩანს, რომ ამ პროგრამის შექმნაში მონაწილეობის საშუალება პარტიის ბევრ წევრს აქვს. ორგანიზაციული სტრუქტურის თვალსაზრისით ძალაუფლების მეტი განაწილებაა, ვიდრე „თავისუფალი საქართველოს“ შემთხვევაში. იკვეთება გარკვეული მექანიზმებიც, რომლებიც პარტიის წევრს საშუალებას აძლევს, საკუთარი ინტერესები დაიცვას.

**ცხრილი 4. „ერთიანი საქართველო - დემოკრატიული მოძრაობა“ - დეტალური შეფასება**

ინდიკატორები	შეფასება
პროპორციული არჩევნები	0
მაჟორიტარების შერჩევა	0
ადგილობრივი არჩევნები	0
საარჩევნო რესურსები	0
საარჩევნო პლატფორმა/პროგრამა	0.5
<b>საარჩევნო ინსტიტუციები</b>	<b>0.10</b>
მმართველი ორგანოები	0.5
ლიდერის თანამდებობა	0
ვადამდელი გადარჩევის წესი	0
შიდა მონიტორინგის სამსახური	0.5
დეცენტრალიზაციის დონე	0
<b>ორგანიზაციული სტრუქტურა</b>	<b>0.20</b>
ანგარიშვალდებულება	0
რესურსების გადანაწილება	0
დავების განხილვა	1
საგამოძიებო დისციპლინარული კომისიები	0
თანასწორობის ხელშეწყობა	0
<b>უფლებების დაცვის მექანიზმები</b>	<b>0.20</b>
<b>ჯამური ინდექსი</b>	<b>0.17</b>

ასეთივე საშუალო მაჩვენებელი აქვს „საქართველოს ლეიბორისტულ პარტიასაც“. ყველაზე დაბალი შეფასება ამ პარტიამ არჩევნებისა და უფლებების სეგმენტში მიიღო, შედარებით ძლიერად კი ორგანიზაციული მოწყობის თვალსაზრისით წარმოჩინდა.

**ცხრილი 5. „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ - დეტალური შეფასება**

ინდიკატორები	შეფასება
პროპორციული არჩევნები	0
მაჟორიტარების შერჩევა	0
ადგილობრივი არჩევნები	0
საარჩევნო რესურსები	0
საარჩევნო პლატფორმა/პროგრამა	0.5
<b>საარჩევნო ინსტიტუციები</b>	<b>0.10</b>
მმართველი ორგანოები	0.5
ლიდერის თანამდებობა	0
ვადამდელი გადარჩევის წესი	0.5
შიდა მონიტორინგის სამსახური	0.5
დეცენტრალიზაციის დონე	0.5
<b>ორგანიზაციული სტრუქტურა</b>	<b>0.30</b>
ანგარიშვალდებულება	0.5
რესურსების გადანაწილება	0
დავების განხილვა	0
საგამოძიებო დისციპლინარული კომისიები	0
თანასწორობის ხელშეწყობა	0
<b>უფლებების დაცვის მექანიზმები</b>	<b>0.10</b>
<b>ჯამური ინდექსი</b>	<b>0.17</b>

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 0.2 ქულით მე-9 ადგილს იკავებს. საქართველოს მასშტაბით მას საშუალო შეფასება აქვს არჩევნებისა და მაკონტროლებელი მექანიზმების თვალსაზრისით, მაგრამ უფლებების სეგმენტში არც ერთი ქულა არა აქვს. ქართული პარტიები, ზოგადად, ძალზე მცირე ყურადღებას უთმობენ დავების გადანაცვეტას. როგორც ჩანს, იგულისხმება, რომ დაპირისპირების შემთხვევაში დაცვის მხარე უბრალოდ უნდა დაემორჩილოს ზემდგომის გადანაცვეტილებას.

**ცხრილი 6. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - დეტალური შეფასება**

ინდიკატორები	შეფასება
პროპორციული არჩევნები	0.5
მაჟორიტარების შერჩევა	0.5
ადგილობრივი არჩევნები	0.5
საარჩევნო რესურსები	0
საარჩევნო პლატფორმა/პროგრამა	0
<b>საარჩევნო ინსტიტუციები</b>	<b>0.30</b>
მმართველი ორგანოები	0.5
ლიდერის თანამდებობა	0
ვადამდელი გადარჩევის წესი	0
შიდა მონიტორინგის სამსახური	0.5
დეცენტრალიზაციის დონე	0.5
<b>ორგანიზაციული სტრუქტურა</b>	<b>0.30</b>
ანგარიშვალდებულება	0
რესურსების გადანაწილება	0
დავების განხილვა	0
საგამოძიებო დისციპლინარული კომისიები	0
თანასწორობის ხელშეწყობა	0
<b>უფლებების დაცვის მექანიზმები</b>	<b>0.00</b>
<b>ჯამური ინდექსი</b>	<b>0.20</b>

მთავარ ოპოზიციურ პარტიას მხოლოდ ერთი ადგილით უსწრებს მმართველი „ქართული ოცნება“, რომლის საერთო ქულა 0.27-ია. განსაკუთრებულად სუსტი მხარეები რომელიმე კომპონენტის მიხედვით არ ჩანს და მიუხედავად რიგითობისა, ეს შედეგი მაინც საშუალო მაჩვენებლად შეიძლება ჩაითვალოს. საქმე ისაა, რომ თუ პარტიების მიერ მიღებულ იდენტურ ქულებს გავითვალისწინებთ, ეს მეოთხე საუკეთესო შედეგია 7 ერთმანეთისგან განსხვავებულ შედეგს შორის (იხ. ცხრილი 1).

**ცხრილი 7. „ქართული ოცნება“ - დეტალური შეფასება**

ინდიკატორები	შეფასება
პროპორციული არჩევნები	0.5
მაჟორიტარების შერჩევა	0.5
ადგილობრივი არჩევნები	0.5
საარჩევნო რესურსები	0
საარჩევნო პლატფორმა/პროგრამა	0.5
<b>საარჩევნო ინსტიტუციები</b>	<b>0.40</b>
მმართველი ორგანოები	0.5
ლიდერის თანამდებობა	0
ვადამდელი გადარჩევის წესი	0
შიდა მონიტორინგის სამსახური	0.5
დეცენტრალიზაციის დონე	0
<b>ორგანიზაციული სტრუქტურა</b>	<b>0.20</b>
ანგარიშვალდებულება	0.5
რესურსების გადანაწილება	0
დავების განხილვა	0.5
საგამოძიებო დისციპლინარული კომისიები	0
თანასწორობის ხელშეწყობა	0
<b>უფლებების დაცვის მექანიზმები</b>	<b>0.20</b>
<b>ჯამური ინდექსი</b>	<b>0.27</b>

„ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეებს“ 0.3 ქულით მე-7 ადგილი ერგო. მათ განსაკუთრებით კარგი შეფასება საარჩევნო და ორგანიზაციული სტრუქტურის თვალსაზრისით დაიმსახურეს. კონკრეტულად დეცენტრალიზაციის კუთხით კი მაქსიმალური ქულაც მიიღეს.

**ცხრილი 8.** „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“ - დეტალური შეფასება

ინდიკატორები	შეფასება
პროპორციული არჩევნები	0.5
მაჟორიტარების შერჩევა	0.5
ადგილობრივი არჩევნები	0.5
საარჩევნო რესურსები	0
საარჩევნო პლატფორმა/პროგრამა	0.5
<b>საარჩევნო ინსტიტუციები</b>	<b>0.40</b>
მმართველი ორგანოები	0.5
ლიდერის თანამდებობა	0
ვადამდელი გადარჩევის წესი	0
შიდა მონიტორინგის სამსახური	0.5
დეცენტრალიზაციის დონე	1
<b>ორგანიზაციული სტრუქტურა</b>	<b>0.40</b>
ანგარიშვალდებულება	0
რესურსების გადანაწილება	0
დავების განხილვა	0.5
საგამოძიებო დისციპლინარული კომისიები	0
თანასწორობის ხელშეწყობა	0
<b>უფლებების დაცვის მექანიზმები</b>	<b>0.10</b>
<b>ჯამური ინდექსი</b>	<b>0.30</b>

მეორე საუკეთესო შედეგი ერთბაშად ოთხმა პარტიამ აჩვენა. მოულოდნელი არ ყოფილა „საქართველოს რესპუბლიკური პარტიისა“ და „თავისუფალი დემოკრატების“ სიის სათავეში მოხვედრა, თუმცა იმედისმომცემია, რომ შედარებით ახალი ორგანიზაციები

საკუთარ სტრუქტურას თავიდანვე უფრო დემოკრატიულ საფუძველზე აწყობენ - „ლელო საქართველოსთვის“ და „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“ 0.33 ქულით ასევე მეორე შედეგს აჩვენებენ.

**ცხრილი 9.** „გიორგი ვაშაძე - სტრატეგია აღმაშენებელი“, „ლელო საქართველოსთვის“, „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“ და „თავისუფალი დემოკრატები“ - დეტალური შეფასება

ინდიკატორები	სტრატეგია აღმაშენებელი	ლელო	რესპ. პარტია	თავისუფალი დემოკრატები
პროპორციული არჩევნები	0.5	0.5	0.5	0
მაჟორიტარების შერჩევა	0.5	0.5	0.5	0
ადგილობრივი არჩევნები	0.5	0.5	0.5	0
საარჩევნო რესურსები	0	0	0	0
საარჩევნო პლატფორმა/ პროგრამა	0.5	0.5	0.5	1
<b>საარჩევნო ინსტიტუციები</b>	<b>0.40</b>	<b>0.40</b>	<b>0.40</b>	<b>0.20</b>
მმართველი ორგანოები	0.5	0.5	0.5	0.5
ლიდერის თანამდებობა	0	0	0	0.5
ვადამდელი გადარჩევის წესი	0.5	0.5	0.5	0.5
შიდა მონიტორინგის სამსახური	0.5	0.5	0.5	1
დეცენტრალიზაციის დონე	1	0	0	0
<b>ორგანიზაციული სტრუქტურა</b>	<b>0.50</b>	<b>0.30</b>	<b>0.30</b>	<b>0.50</b>
ანგარიშვალდებულება	0	0	0.5	0.5
რესურსების გადანაწილება	0	0	0	0
დავების განხილვა	0.5	1	1	0.5
საგამოძიებო და დისციპლინარული კომისიები	0	0.5	0	0.5
თანასწორობის ხელშეწყობა	0	0	0	0
<b>უფლებების დაცვის მექანიზმები</b>	<b>0.10</b>	<b>0.30</b>	<b>0.30</b>	<b>0.30</b>
<b>ჯამური ინდექსი</b>	<b>0.33</b>	<b>0.33</b>	<b>0.33</b>	<b>0.33</b>



„ევროპული საქართველო“ და „ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩი“ 0.37 ქულით პირველ პოზიციაზე არიან, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თუ ქულებს მივაქცევთ ყურადღებას, ჩანს, რომ პარტიებს შორის დიდი განსხვავება არ არის.


**ცხრილი 10.** „ევროპული საქართველო“ და „ახალი პოლიტიკური ცენტრი - გირჩი“ - დეტალური შეფასება

ინდიკატორები	ევროპული საქართველო	გირჩი
პროპორციული არჩევნები	1	1
მაჟორიტარების შერჩევა	1	1
ადგილობრივი არჩევნები	1	1
საარჩევნო რესურსები	0	0
საარჩევნო პლატფორმა/პროგრამა	0.5	0.5
<b>საარჩევნო ინსტიტუციები</b>	<b>0.70</b>	<b>0.70</b>
მმართველი ორგანოები	0.5	0.5
ლიდერის თანამდებობა	0	0
ვადამდელი გადარჩევის წესი	0	0.5
შიდა მონიტორინგის სამსახური	0.5	0.5
დეცენტრალიზაციის დონე	0.5	0
<b>ორგანიზაციული სტრუქტურა</b>	<b>0.30</b>	<b>0.30</b>
ანგარიშვალდებულება	0	0
რესურსების გადანაწილება	0	0
დავების განხილვა	0.5	0.5
საგამოძიებო და დისციპლინარული კომისიები	0	0
თანასწორობის ხელშეწყობა	0	0
<b>უფლებების დაცვის მექანიზმები</b>	<b>0.10</b>	<b>0.10</b>
<b>ჯამური ინდექსი</b>	<b>0.37</b>	<b>0.37</b>

საერთო სურათის გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანი გამოწვევები ანგარიშვალდებულების კუთხითაც დაფიქსირდა: ხშირად პარტიებს არ აქვთ განერილი წესი, რომელიც უზრუნველყოფს წევრებისთვის ანგარიშის ჩაბარებას, ზოგ ორგანიზაციაში კი ლიდერის გადაყენების შესაძლებლობა არც განიხილება. იმ პარტიებშიც კი, სადაც ასეთი რამ ნახსენებია, კონკრეტული დეტალები არ კონკრეტდება. იშვიათადაა დაცული წევრთა უფლებები, ხშირად მათ არა აქვთ შესაძლებლობა, დაიცვან საკუთარი პოზიცია. მცირე გამოწვევების გარდა, პარტიები მკაცრად ცენტრალიზებული ორგანიზაციებია, სადაც შემადგენელ ერთეულებს მეორეხარისხოვანი როლი ენიჭება - მათი მართვა მთლიანად ცენტრალური აპარატის ხელშია. არც ერთ პარტიაში არ ფიქსირდება მატერიალური რესურსის განაწილების წესი: იქნება ეს ყოველწლიური ხარჯები თუ საარჩევნო კამპანია; არც ერთ პარტიას არა აქვს პოზიტიური დისკრიმინაციის პოლიტიკა და მხოლოდ ერთეულები ფლობენ მექანიზმს, რომელიც წარმომადგენლობითობას აქცევს ყურადღებას. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები ყველაზე მეტად რეგულირებული მოვლენაა, კანდიდატთა შერჩევის წესი უმეტესად ზოგადია. ზოგი პარტია ამ საკითხს საერთოდ არ ახსენებს.

ზოგადად, არსებული სურათი მოულოდნელი არ ყოფილა: პოლიტიკური პარტიების დემოკრატიზაციის ხარისხი დაბალია. გამორჩეული ამ გაერთიანებების სუსტი ინსტიტუციონალიზაცია. ეს არცაა გასაკვირი, თუ პოლიტიკური პარტიების გაქრობა-გაჩენის კოეფიციენტებს გავითვალისწინებთ. მიუხედავად ამისა, ახალ პარტიებში რიგი დემოკრატიული ტენდენციის წარმოჩენა სამომავლოდ იმედის საფუძველს გვაძლევს.

**ცხრილი 11. შიდაპარტიული დემოკრატიის ინდექსის სამი კომპონენტის შეფასება**



# დანართი

## 1. საარჩევნო ინსტიტუციები

- 1.1 პროპორციული სიის შედგენის წესი - აქ და ყველა სხვა კრიტერიუმის შეფასებისას მინიმალური მოთხოვნა განერილი პროცედურის არსებობაა, ვინაიდან წესების ფორმალიზება არა მარტო ინსტიტუციონალიზაციაზე მიუთითებს, არამედ, დემოკრატიულობის ერთ-ერთი მაჩვენებელიცაა. წესებისა და პროცედურების ტრანსპარენტულობა მონაწილეთა უფრო ფართო სპექტრს აძლევს არსებული შესაძლებლობების გამოყენების საშუალებას. წესები, რომლებიც განერილი არაა, ჩვეულებრივ, ორგანიზაციის მმართველებს განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებს დისკრეციული უფლებით სარგებლობისას. შემდეგი ინდიკატორი ამ განერილი წესის დემოკრატიულობაა: რაც უფრო მეტ წევრს აქვს შეუფერხებლად მონაწილეობის საშუალება, პროცესი მით უფრო დემოკრატიულია. სხვა სიტყვებით, რაც უფრო უახლოვდება შერჩევის პროცესი დემოკრატიულ არჩევნებში მიღებულ ნორმებს, მით უფრო დემოკრატიულია იგი.
- 1.2 მაჟორიტარული კანდიდატების შერჩევის წესი - იგივე, რაც ზემოთ.
- 1.3 ადგილობრივი არჩევნებისას კანდიდატების შერჩევის წესი - იგივე, რაც ზემოთ. იმ შემთხვევაში, თუ ცალკე წესი არ არსებობს და ვრცელდება იგივე წესი, რაც საპარლამენტო არჩევნებზე, მაშინ ქულა უბრალოდ გამეორდება.
- 1.4 საარჩევნო რესურსის განაწილების წესი - მინიმალური მოთხოვნის გარდა, გათვალისწინებული იქნება წესის დეტალიზაცია და არგუმენტაცია.
- 1.5 საარჩევნო პლატფორმის/პროგრამის შექმნის წესი - მინიმალური მოთხოვნის გარდა ყურადღება მიექცევა სპეციალურ პირობებს, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის შექმნაში მაღალ ჩართულობას და სხვადასხვა ინტერესების გათვალისწინებას.

## 2. ორგანიზაციული სტრუქტურა

- 2.1 მმართველი ორგანოების შერჩევის წესი - რამდენად უზრუნველყოფილია წარმომადგენლობითობა, მათ შორის, არის თუ არა შეზღუდვები სტაჟის მიხედვით.
- 2.2 პარტიის ლიდერის პოზიციასთან დაკავშირებული შეზღუდვები - არსებობს თუ არა წესი, რომელიც კრძალავს ერთი და იგივე ლიდერის რამდენჯერმე ან ზედიზედ არჩევას. მართალია, ერთი შეხედვით, ეს წესი მეტად მკაცრი ჩანს, თუმცა, ლიდერის გადარჩევის ვალდებულება დემოკრატიულ ტენდენციებს აძლიერებს. განსაკუთრებით, ისეთ გარემოში, სადაც პოლიტიკური პარტიები სუსტად არიან ინსტიტუციონალიზებული.

- 2.3 პარტიის ლიდერის ვადამდელი გადაყენების პროცედურა - მინიმალური მოთხოვნა და რამდენად შესაძლებელია ამ პროცედურის პრაქტიკული გამოყენება.
- 2.4 შიდა მონიტორინგის სამსახურის შერჩევა და ფუნქციები - იგივე მოთხოვნები, რაც 2.1 პუნქტში.
- 2.5 დეცენტრალიზაციის ელემენტები - არსებობს თუ არა წესები, რომლებშიც ჩანს რეგიონული, ახალგაზრდული, ქალთა და ა.შ. ორგანიზაციების უფლებები და რამდენად ფართოა ისინი.

**3. უფლებების დაცვის მექანიზმები**

- 3.1 ლიდერის სავალდებულო და რეგულარული ანგარიში წევრებს - მინიმალური მოთხოვნის გარდა, ქვეყნდება თუ არა ეს ანგარიში და აქვთ თუ არა წევრებს შეკითხვების დასმის უფლება.
- 3.2 რესურსების სავალდებულო გადანაწილების მექანიზმი რეგიონულ, ადგილობრივ, ახალგაზრდულ, ქალთა და მსგავს ერთეულებზე - იგივე, რაც 1.4 პუნქტში.
- 3.3 დავების განხილვის განწერილი მექანიზმი - მინიმალური მოთხოვნის გარდა, ფასდება რამდენად უზრუნველყოფილია დაცვის შესაძლებლობები, როგორცაა - მოსამზადებელი დრო, კონტრარგუმენტების წარმოდგენის, მონინაა-ღმდეგესთან დაპირისპირების და გადაწყვეტილების გასაჩივრების საშუალება.
- 3.4 დისციპლინური და საგამოძიებო კომისიები და მათი შექმნის პრინციპები - იგივე, რაც 2.1 და 2.4 პუნქტებში.
- 3.5 თანასწორობის ხელშეწყობა - არსებობს თუ არა წესები, რომლებიც ხელს უწყობს ნაკლებად ჩართული ჯგუფების წარმომადგენლობის უზრუნველყოფას -კანონმდებლობით ისედაც გათვალისწინებული შემთხვევების გარდა. ფასდება ამ მიდგომების ყოვლისმომცველობა.

**EECMD**

აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი  
მრავალპარტიული დემოკრატიისათვის

შარაშიძის 7, 0179, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 32 291 56 50/51

ელ.ფოსტა: [contact@eecmd.org](mailto:contact@eecmd.org)